განკარგულება:**გ-87. 87241856**
თარიღი:**03/07/2024**

განკარგულება №33

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ახმეტაში რუსთაველის ქუჩა N 56-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 105.36 კვ.მ ფართობის (ს/კ 50.04.43.112) - სსიპ „სამხედროგაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს“ (საიდენტიფიკაციო კოდი202504753) ახმეტის მუნიციპალური განყოფილებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62 მუხლის პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, „საქართველოს მუნიციპალიტეტების მიერ უძრავი ქონების გადაცემისა და მომსახურებისთვის საჭირო ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 აპრილის N536 განკარგულების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას - განახორციელოს ქალაქ ახმეტაში რუსთაველის ქუჩა N 56-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული 105.36 კვ.მ ფართობის (ს/კ 50.04.43.112) - სსიპ „სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს“ (საიდენტიფიკაციო კოდი202504753) ახმეტის მუნიციპალური განყოფილებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2026 წლის პირველ იანვრამდე.

2. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი